




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 9

2011 წლის 28 იანვარი

ქალაქი ხაშური

მოქალაქე სულიკო ჯაფარაშვილის განცხადების განხილვა დაბა სურამში რუსთაველის ქუჩაზე
მდებარე კომერციული ფართის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში გურამიშვილის ქ. №49-ში მცხოვრები მოქალაქე სულიკო ჯაფარაშვილის განცხადება, დაბა სურამში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართის მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

- 1 დაბა სურამში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, მოქალაქე სულიკო ჯაფარაშვილის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართის მისამართი დადგენილი იქნას: დაბა სურამი, რუსთაველის ქუჩა №140.
2. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე